ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 358/01
13/01/2020

358-01-2-202001131713

შპს „ბაგოს“
მის: ქ. თბილისი, თემქა III მ/რ, IV კვ.,
კორ 66, ბ 10

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 23 დეკემბრის №18826 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე 8 კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან გაზსადენის კლასიფიცირება ხდება მუშა წნევის მიხედვით, როგორც დაბალი წნევის ასევე, მაღალი წნევის გაზსადენად, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, რომელი ტიპის გაზსადენს მიეკუთვნება (მუშა წნევით) წარმოდგენილი საპროექტო გაზსადენი.

გარდა ზემოაღნიშნულისა სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს:

- სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა;
- სად მოხდება გაზსადენის მიწისქვეშა და მიწისზედა (ჰაერში) გაყვანა (თითოეული მონაკვეთის მითითებით);
- ვინაიდან პროექტი ითვალისწინებს 8 კმ-იანი გაზსადენის მშენებლობას, საჭიროა გაზსადენის ტრასის Shp ფაილების წარმოდგენა;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013